დანართი 1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 2010/2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის

სადოქტორო პროგრამა

I. სადოქტორო პროგრამის სახელწოდება
სამართალმცოდნეობა
II. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი
სამართლის დოქტორი (Doctor Juris / PhD in Law)
III. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი – პაატა ტურავა,
საერთაშორისო სამართლის მიმართულებით – აკადემიკოსი ლევან ალექსიძე
IV. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება
1) პროგრამის მიზანი
სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა არის დარგობრივი სადოქტორო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის, სამართლის მეთოდებისა და სამართლის ისტორიის მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების კვლევას, სამართლის მეცნიერებისა და იურიდიული აზროვნების განვითარებას, აგრეთვე არსებული სამართლის სისტემების არსში წვდომას, მათი ნაკლოვანი მხარეების წარმოჩენას და შესაბამისი წინადადებების შემუშავებას.
პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს ის აუცილებელი თვისებები, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი აზროვნების აკადემიური განვითარებისა და გაღრმავების, აგრეთვე, სამეცნიერო ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
2) პროგრამის შედეგი
ა) სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის, სამართლის მეთოდების და სამართლის ისტორიის მეცნიერების დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს მოახდინოს საკუთარი ცოდნის განახლება ხელახალი გააზრებისა და გადაფასების გზით და გამოიყენოს ინოვაციური აკადემიური მეთოდები.
ბ) სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს ინოვაციური კვლევის დამოუკიდებელი დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე იქნება ორიენტირებული. კურსდამთავრებულის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი აისახება მის მიერ შესრულებულ საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
გ) სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს არსებული იურიდიული დოქტრინის, სასამართლო პრაქტიკის და

კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებელი მიღება;
დ) სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენის უნარს. უნდა შეეძლოს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;
ე) სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ავლენდეს მზადყოფნას სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში განავითაროს ახალი იდეები კანონმდებლობისა და სამართლის პრაქტიკის გაუმჯობესების კუთხით;
ვ) სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ახდენდეს ღირებულებების დამკვიდრების გზების კვლევას და შეიმუშავებდეს მათ დასამკვიდრებლად აუცილებელ ინოვაციურ მეთოდებს.

V. კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო

სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით, აგრეთვე, განახორციელოს პრაქტიკული საქმიანობა საჯარო და კერძო სამართლის სექტორში.

VI. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა

სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე მიიღებიან სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

VII. სადოქტორო პროგრამის კომპონენტები

1. სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო პროგრამებისა (სასწავლო კომპონენტი) და სამეცნიერო კვლევების (კვლევითი კომპონენტი) ერთობლიობას და იგი მოიცავს 180 კრედიტს. აქედან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 60 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს – 120 კრედიტი.
2. სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:
□ა) სწავლების მეთოდები – 5-15 კრედიტი;
□ბ) პროფესორის ასისტენტობა – 5-10 კრედიტი;
□ გ) აკადემიური წერა და კვლევის მეთოდებისა და ხერხების კურსი – 10-15 კრედიტი;
დ)□ ორი სასემინარო ნაშრომის – მომზადება და აუდიტორიის წინაშე დაცვა – 15-30 კრედიტი.
3. სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებია:
ა) მეცნიერების მენეჯმენტი – 5 კრედიტი;
ბ) საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები – 5-25 კრედიტი;
გ) პრაქტიკა – 5-10 კრედიტი;
დ) საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი – 5-15 კრედიტი;

ე) სპეციფიკური დარგობრივი კურსები – 5-15 კრედიტი.
4. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, საერთო საუნივერსიტეტო სქემის ფარგლებში, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
3. კვლევითი კომპონენტი მოიცავს 2 კოლოკვიუმს თითოეულისათვის 20 კრედიტის ოდენობით და სადისერტაციო ნაშრომს.

VIII. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
იურიდიულ ფაკულტეტს გააჩნია ბიბლიოთეკა (9853 ერთეული წყარო), კომპიუტერული ცენტრი (27 კომპიუტერი), საკონფერენციო დარბაზი, აუდიტორიები, სამეცნიერო ჟურნალი.
IX. სადოქტორო პროგრამაზე მისაღები დოქტორანტების რაოდენობა
სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე მიიღება არა უმეტეს 20 დოქტორანტისა.
X. სადოქტორო პროგრამაში მონაწილე პროფესორები
სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობენ იურიდიული ფაკულტეტის და მოწვეული სრული და ასოცირებული პროფესორები.